

XXVI

„ნიანას“
წინასაყარილოგო
კონტროლი

ვინ უზრუნველყოფს, რომ საექსპლუატაციოდ გადაეცათ 24 უმნიშვნელოვანესი ასამოქმედებელი მშენებლობა, რომლებიც განსაზღვრულია საქართველოს კაცენტრალური კომიტეტის 1979 წლის 20 თებერვლის დადგენილებით „სამრეწველო, სასოფლო-სამეურნეო და სოციალური დანიშნულების უმნიშვნელოვანესი ასამოქმედებელი ობიექტების 1979 წელს საექსპლუატაციოდ გადაცემის უზრუნველყოფის ღონისძიებათა შესახებ“.

ნ.ბ. ჯ. ლოლუასი



—ეს ობიექტი აქამდე კიდევ გასაშვებია?!.
—ეს ობიექტის გასაშვებია და მისი მშენებლობის უფროსებიც!

—სულ ფული-ფულიო, რომ გაიძახით, სირცხვილია სულ ფულზე ლაპარაკი! — უყვიროდა უფროსი თავის ხელქვეითებს.
 მერე ცოტა რომ დამშვიდდა, ოფლი მოიწმინდა:
 — აი, ახლა მე ერთი სამასი მანეთისა მაინც ვინერვიულე!

როგორც იქნა, ჩამოდგა ავტობუსი გაჩერებაზე.
 — რა არის, კაცო?! ერთი საათია გელოდებით! — შებედეს ქალებმა მძღოლს.
 — მე თქვენთვის პაემანი არ დამინიშნავს! — მშვიდად უპასუხა „ხუმარა“ მძღოლმა.

ვაჟა ფარაუხიშვილი

ორი „მოყმენი“ აგბავი

შეჯიბრდნენ ორნი „მოყმენი“, ვნახოთ, ვინ ვისა დასძლევს! საბედისწეროდ შეიბნენ, იდუმალ დებენ ნაძლევსა. გაჩაღდა მომხვეჭელობა, ფულის და ოქროს კეთება, გული არ უდგათ საგულეს, სისხლიც ფულებად ენთებათ.

წინ ჯერ კიკოლა გაიჭრა — ფული დაინყო დასტებად, ლილინებს — „ხელში რაც მომხვდა, ოჯახსაც შეემატება!“ ჯერ სრა-სასახლე დაიდგა, თვალი ძლივს სწვდება სართულებს, წინ „ვოლგა“ ჩამოუყენა — მოქიშპე თითქოს დათრგუნა.

მაგრამ ჩიკოლას შეხედეთ, ეს რა გეგმები ჰქონია?! — სახლსა დგამს მართლაც არნახულს, უფრო მაღალს და გოლიათს. ერთი რა არის?! — ეზოში ნახეთ „ვოლგათა“ წყვილობა!.. ისევ გრძელდება შეჯიბრი — არის ჭიდილი, ცილობა.

„საიდან მოსდით ამდენი?!“ — უკვირთ ნათესავ-მეზობლებს, თითქოსდა, ოქრო აწვიმდეთ იმ ორთა ფართო ეზოებს. კიკოლამ ცოლი შემოსა, „რას მიქვიაო „ლაიკა“?!“ უცხო რამ რაღაც იყიდა, ჯიბეზე ხელი გაიკრა...

ჩიკოლას ცოლმა ჩაიცვა პალტო რამ, უფრო ძვირფასი, ეს — გუშინ. დღეს კი საოცარ, რაღაც ახლისკენ ისწრაფის. ორი „ყმის“ შეჯიბრებაზე შიშობენ მხოლოდ დედები, რაღაცას გრძნობენ წინდანინ, გულეზე ცეცხლი ედებათ!..

ორი მოქიშპის ჭიდილი უფრო და უფრო ცხარდება, ჩანაფიქრი და ნანაგრი უმაღ, უცილოდ ცხადდება!.. ხალხის დოვლათში ხელს ურევს ორი „ყმა“, ორი მფლანგველი და არ ფიქრობენ, ამისთვის რა ემუქრებათ, რა ელით!

როცა აივსენ ყელთამდე და თავზეც გადაუვიდათ, ჯიბით კი არა, როდესაც ფული მიჰქონდათ უბითაც, წინ ხან კიკოლა გაიჭრა, ხან კი ჯობნიდა ჩიკოლა, მომხვეჭელობის ქარ-ცეცხლმა ორივე გადაიყოლა!..


გაუგეს, ხელი გაუკრეს და მიაბრძანეს ორივე!.. ეგ არის: ვინ ვის აჯობა. ამაზე ველარ მორიდდნენ! კიკოლას დედა ატირდა: — „ამ დღეს ვხედავდი შორიდან! ამ ქვეყანაზე ცხოვრობდე, — ჭკუა, სინდისი, შნო გინდა!..“

როგორ არ უნდა იცოდე მტაცებლის ბედი, ფინალი, შვილი ჩამისვეს ციხეში, ახლა მშველელი ვინ არი?!“ ჩიკოლას დედა მოთქვამს და სახეს იხოკავს მწარედ: — „მძიმე სიბერე მერგო და ასე უღმერთოდ წამება!

უნდა ნავიდე, იქნება, კიკოლას დედა ვიხილო! ვიცი, რომ ისიც გულმკვდარობს, ვიცი, რომ არც ის ლილინებს! იქნება ქალი, ბეჩავი, ჩემზე მწარედა ტირისა, დარდი ექნება შვილისა, ციხეში ჩაკეტილისა!..“

კიკოლას დედას ხშირ-ხშირად სული და გული უდუღდა, ქვაც კი ვერ უძლებს სანყალის მწარე კვნესას და დუდუნსა. სიზმარში ხედავს ორ „მოყმენს“, ვითომ კვლავ შეჭიდებულსა, ერთურთის ქიშპობაშია უწყალოდ შეჭირვებულსა. ჩიკოლას დედას დაღანდავს, მასავით ნუხილიანსა, თავისი ჭირიც გულს უკლავს, სხვისი ვარამის ზიარსა.

ნახ. ჯ. ლოლუასი




— კაცო, გაქსუი რომ მიჯღავი, არ უნდა მკითხო, საით მივლივარა?!


ნახ. მ. აბაშიძისა



— მგზავრობის ფული მოგახში! გზის, მანქანის ნაწილები, გუნდის, დისკაჟი. არის, ოჯახის სარჩენის მოგახში! კიდევ შენი ვალი მაქვს?!




1. ლოსაბერიძე



2. ბლაგიძე




3. ხაბარელი



3. სანაძე



თ. ხუბულური



6. გუნაბა

ქეთევან ლოსაბერიძეს

შენ— ჩვენს მშვენიერ-მშვენიერს—
მკლავი გაქვს გასაკვირველი!
ღო ს - ა ნ ქ ე ლ ო ს შ ი ც ი ე ნ ე ბ ი,
ღო ს ა ბ ე რ ი ძ ე ვ ჰ ი რ ვ ე ლ ი!

ვახტანგ ბლაგიძეს

გასწენ სუსონი ოქროსი
და ჩემი იონად გაგვიძეხ!
შენ რა მეტოქე გავიძლებს,
ლომო და გვირო ბლაგიძე ვ ?!

შოთა ხაბარელს

უძლეველო ძლევის ჯვრელო,
მჯერა, ერთად დასძლევე ორ კაცს!
დე, ეოველთვის გამარჯვება
მოეტანოს შენთვის „კოკას“!

ვიქტორ სანაძეს

საამუო ს ა მ ე ე ვ ო,
საოცრებაჲ სამმაგ სტომის,
შენ ლეგენდად გადიარებს
დიდი სპორტის მართონი!

თეიმურ ხუბულურს

შეგიძლია და ამიტომ
გეტუვი სათქმელს, არ დაუძალავ:
როგორც ადრე, — ოთხჯერ, — მაღე
სძლიე რობერ ვან დე ვალეს!

საიდა გუნაბას

გერცხლის მედლით გაგვასარე
ოქროქალმა საიდაძე!
მე იმ ადგილს ვენაცვალე,
შუბი სტეორცნე საიდანაც!

ალექსანდრე კანკილიძეს

მოძრავს გერცხლის წყაღივითა
გერცხლი გერგო ანაილოგოვს
ისევე ოქროს მოიპოვებ! —
ბურთს ხელს ჰკიდებ ამ ზირობით!

ლიანა ცოტაძეს

ათი მეტრიდან ეშვები
აუზში ბროლის მდინარედ!..
მწანს, ბეგრს მიადწევ, ცოტაძე ვ,
წყალში მსტომელო ბრწეინკალე ვ!

ნიკოლოზ დერიუბინს

აღზრდილს სულიყო თორთ ჯამის —
მოგმართავ თხოვნა-ვედრებით:
გაივსე ერთი კალათა
სამივე ფერის მედლებით!

თენგიზ ხუბულურიძეს

რევაზ ჩელეძეს

ალექსანდრე ჩივიძეს


ბრინჯაოს მედლებს გილოცავთ
და თასზე თამაშს გიჩივით!
დღეიდან მაინც იმარჯვებთ,
ნუ დაიბნევით ბრინჯივით!



4. ანკილოგოვი



5. ცოტაძე




6. დერიუბინი



თ. სულაჰველიძე



8. ჩელეძე



9. ჩივიძე



ქირიკა ერთი დიდი გულის ფეხდა შეწყდა. დამზინებულმა საქართველომ უკანასკნელ გზაზე გააივლა და მთაწმინდის საფანქში მიიწია საშვედროსა სამკვიდრებელ თავის სადასო მხატვარს. ლედი გუდია მ. ვილს. იგი იყო იმ რჩეულთაგანი, ვისაც წილად ხვდა აზნაულებთან და შირის გებანას მშობელი ქვეყნის სახელი.

ლადო გუდიაშვილი გუთონის მხატვარია, მწერალია და კომპოზიტორია. იმ დიდ თაობას მიეძღვრა საუკუნის გარბირაზე ახალ ხელოვნებას რომ დაუდგინა სათავე თავის დიდებულ თანამემამულეებთან — დიდი კაკაბასესა და ელენე ახელაიანთან ერთად იგი ეზიარა ოცდაათი წილების პარისის მშვეთხარე ცხოვრებას. იმ დროს იქ ქმნიდნენ თავიანთ შედეგებს პიკასო, მიოდლიანი თუ მანდალი. იმ ხუფხუფიდა გუდიაშვილი ახალ განზრახვას მიაკვირებს.

კვირების შუაგულში, საოცრად ძვირად გაჩენილად, სადაც ადვილი იყო სხეებში გასაქცევა და საკუთარი ხელების დაკარგვა, ჩინა თავისი მწვერი ინდივიდუალურა და ცნობილ ხელოვნებისმკვლევთა დიდი ჯურის დედა დამისხარა. იგი ღმრად იყო დაკავშირებული მშობელი ფესვებთან; მის შთაგონებას დაუცხარდა დანების ქართული ფრესკის მკვირვინება და ქართული წაპირის სიგრცეები ასპარეზებდა. ამტკობადა, მასაფით უფრონი დახატვლა საქონინი მოგზაურობაში მიმავალ



ს. ბ. ბ.

გუდიაშვილის

სატირისა და პროტასკის საყვაროში



დედებს, აღნიშნული თავებით მითაა ნილიანი მწვერვლებს რომ უწინარდებთან მასაფით არავის შეუძლია გავსივლისებინა. ველისი დახარული კედლებიდან გამოჩნათალი ფრესკის საცარკო ღმრადი.

გუდიაშვილის ხელოვნებაში საკმაოდ ადვილი უწინარეს სატირას და პროტასკის მისი მასიული განსაკუთრებით მასაფრად ამბოვდება დიდი სამაშველ იმის დროს, როცა მხატვარმა გრადიკული ნამუშევრების სტრიაში ფაზისში შეეზარადა სხვა წარმოდგენა. ტელუქად როდეს ადარებენ ამ ნახატებს ფრანკისკო გაიხსნა გემოვნული გაბრუნობა. გაიხსნა თუბდაც კომპოზიციურად საუცხოოდ მიფორმებული „მამი უნის საბინი“ უკვე უღელდევინი ძალბოძირებისა და სიბილინის სახნიდეზად რომ არის შექმნილი; გაკისხებით „სიღმინის“ სახელი საკუთლებით შეარაღებული მოფუსფუსე შამიუნისმეფერი არტებში (უკუწარბობისა და შორებების გახსიარტბანი) თავის დასფორმების ღმრადი მწვენიერებას და გაკეთისა უპირველ რიგად ღმრადი დაწმინდებენ ამ რიგის ნამუშევართა შირის უღლიერებას ღრმად სიბოძლონი, შეშინარტბანი უკუწარბობის ნახატ „ტვივის მკვლელა“, ხალხურ ფრთიან გამოთქმას რომ დახერბა.

პაზის ღრნივით გაკლენილი და ნატფისა გუდიაშვილის ხაზო რაც არამეფლებრივ მიქონილებას ამტყუ მის მსგავსა გაწირიელ უფურებას. შეთხზვევით არ იყო, რომ აქველი თბილისის ტროპადერმა იოსებ ერისმეფულმა თავისი ქმნილობისი ღმრადი გუდიაშვილის დახატვინა; კინ მოთულს, მოუტის დახატობარ რამდენ წილენ ამტყუებს ახლა გაღმობილ, თაქვე თბახადამდმული ცისკლე, მარტელის ტრტები ქარისაგან რომ დახერბო.

ლადო გუდიაშვილის მარტი სულხან-საბას არაკები რომ გაუყოფებინა, მამინავე ცხელი იქნებოდა მხატვრის სატირის იფითყიფი ხსილით.

საგანებულ უნდა აღიზიონის, თუ რა მარტად და ობობურად იდენეს გუდიაშვილი გროტესკის ურთულეს ხელოვნებას, რასაც პირდაპირი კავშირი ბქეს მხატვრის დიდ სამართულ წიქთან ეს ყველაზე მეტად გამოვლენდა გურიკაობისა და ვეწონების ამახსილ ტილოებში, სადაც ნილბების წარდფერი განმოდგინილი.

„ნიკინა“ არავითარი ნიშანი დაამტყუა ბატონი ლავის მადლიანი ხელით შექმნილმა დიდებულმა ნახატ-პროტასკურებმა. ისინი შინისა და ლაზარის მატბადენდნ ჟურნალის იფინ.

წილია აქ ყველა იმ დახსახურებათა უზრალო ჩამოვლენა, კი, ლადო გუდიაშვილის რომ მიუტლეს მშობელი ხალხისა და ქარ-



სილაქასის ქიება



„სიბრძნე სიბრუნისა“ ილუსტრაცია



თული საბჭოთა ხელოვნების ნინავე.

უკუწარედ ვახსენებდა მხატვრის გრადიკული უწინარე ღმრადი გამოფენა 1957 წელს. ვახსენებდა, როგორ მიუთმენილად მიუღობინ ამ წიქებს გუდიაშვილის ნიღის თავყარის მწვერლები, მისი სიღმინის გეგმებში — ელენე ახელაიანის, გიორგი ღმრადი, სტეფი კლდოვილი... გავსივს, როგორ მიინევიდა კარტებს ახალგაზრდებითი გარემორტყეული, სულთხიანი გარემონტი ქიქობა, როცა გამოვინის გახსნა, ტექნიური მიხეუბის გამო, გვიანდელია, ვახსივს, როგორ შეეძინა ხალხის დარბახის კედლებიდან დაქრულმა თვალისმოქრულმა ფრესკის ზედა ითიქობი ყველაწი ზარბულ გამოქვეყნული მოხედენი.

ეს იყო გამოფენა, რომელიც ხალხის გახსნა და ამობისა გაღმკობისის სიტყუები: „რა განანი ტყენილი“.

ამ განისი შექმნილი ღმრადი ცისკლეი აღმარა, აღარ იფინისა საუბრებებშიმხარია პალტის მხატვრის გრადიკული ხელის შეტყუას, იმეფად იღლა უნდა ვიწარხი, რომ დატყუას მხატვრის უზრუნული თვალებითი და გამოქვეყნული უდვილი, განუწარბრებელი საყვარო.

მამიშინის სამიზნე

პ რ ი ტ ი კ ა

„მე ვუჩვენებ სეირს!“ — გაიფიქრა მან, — „ახლა ყველა მათგანს სათითაოდ მშვენიერ სიურპრიზს მივართმევ! ხომ არის ჩვენთან საჯარო გამოსვლის თავისუფლება? არის! მეც ავდგები და ვიტყვი! კარგად ვახტუნავები!“

უპირველეს ყოვლისა, ჩემთვის ცნობილია და არ შემიძლია გავჩუმდე იმ ფაქტზე, რომ ნოვაკმა არაფრისათვის ორჯერ მომატებული ხელფასი მიიღო. მერე ვიტყვი, რომ ჩვენთან სრულიად არ იცავენ უსაფრთხოების ტექნიკას. ამაში დამნაშავეა მატეინა. ხოლო რაც შეეხება ბოგაჩეკს, ის უკვე დასრულებული თაღლითია: თვითონ ინერს მივლინებებს და კარლშტაინში დაბრძანდება ვაშლისათვის. პრემიები უკანონოდ განაწილდა: ყველამ იცის, რომ კუჩერა ავად იყო და პრემია კი მიიღო...“

შემართებითა და ყველაზე კეთილშობილური მისწრაფებებით აღსავსემ ყოველივე ეს ქალაქზე ჩამონერა. მერე დაფიქრდა.

„მგონი ნოვაკის მოხსენიება არ ღირს. მაშინ ხომ მიხსნა, ხელახალი აღრიცხვის დროს რაღაც უსიამოვნებანი რომ მქონდა. ახლა მისი დაღუპვა არაამხანაგური იქნება“.

და ნოვაკი ამოშალა.

„უსაფრთხოების ტექნიკა... მატერნა... საჩოთიროა, რამდენჯერ ვყოფილვარ მასთან სტუმრად, პრეფერანსში უბადლო პარტნიორია. კაცმა რომ თქვას, უსაფრთხოების ტექნიკის წესებს არსადაც არ იცავენ. მატერნას ამოვშლი, უხერხულია ასე მრისხანედ თავდასხმა“.

და მატერნა ამოშალა.

„ბოგაჩეკის მოგზაურობაც კარლშტაინში უსიამოვნო საქმეა. სიმართლე რომ ვთქვა, მეც კი ჩამომიტანა ერთი ტომარა ვაშლი იაფად. ანდა, მგონი, სულაც მუქთად. არსებითად, ბოგაჩეკი ცუდი ადამიანი არ არის, უბრალოდ, მდგომარეობამ აიძულა, არ შეიძლება ასეთ შემთხვევაში ვინმე მკაცრად განსაჯო“.

და ბოგაჩეკი ამოშალა.

„მაგრამ, აი, კუჩერა... თუმცა, სიმართლე რომ ვთქვათ, პრემიები ჩვენთან ყოველთვის ასე ნაწილდებოდა. ცხადია, ეს წესის დარღვევაა, მაგრამ ფული ავადმყოფსაც ხომ გამოადგება? კიდევ გახდება ავად და პრემიას შენც აგაცდენენ!“

და კუჩერაც ამოშალა.

მერე იჯდა და ფიქრობდა: „იმდენი რამ ვიცი ხალხზე, პირი რომ გავალო, თანამშრომელთა ნახევრის მოხსნა მოუხდებათ. მაგრამ არა, სჯობს, გავჩუმდე!“

ისე კი, საერთოდ, კრიტიკა შეიძლება და საჭიროც არის. ამას განაწინმე საკამათოდ ხდის?“

სატირული

პოეზია

მაიკლ ჰემზერგერი



ამოხეილი საკე

დიდი დარბაზი — შეზღონგები და სავარძლები;
მოჩუქურთმებულ კამოდებზე — ოქროს თასები;
სამი სურათი — მონაცრისფრო კედლებზე, მათგან
ყველაზე მდარე — მეთვრამეტე საუკუნისა;
სუსტი სინათლე, ვიწრო ქუჩა — ფანჯრების მიღმა
და მაღალ სახლთა წყება — ქუჩის მეორე მხარეს,
თვითეულ სახლში — დიდებული თითო დარბაზი.
ზის სავარძელში კაცი ერთი და ბუხრის თავზე
მძიმე ჩარჩოში ჩასმულ ლამაზ კომპოზიციას
ჭვრეტს. მკრთალ დარბირთან ეს მე ვზივარ მინიატურულ
ფორმაში, დარბაზს ნაცრისფერი კვამლით ვაბოლებ.
მაღლა ვწევ ცალ ხელს ძალზე ნელა და აღარ ვიძვრი,
თითქოსდა, ვქრები, ლამის შთანმთქას ავეჭმა, ლამის
დამიპყროს ყველა სამკაულმა, მაგრამ მე თვითონ
ვთმობ პოზიციებს, საათის ხმა როცა ჩამესმის,
ფუხმობ ბუნდოვან ილუზიას, მაგრამ ამოდ.
სისულელეა, — მსურს ავდგე და გავფანტო ნისლი,
ჭერ მუხლი მთლად არ გამყინვია, მოვწყვიტო თვალი
ამ ანაქრონიზმს, უცხო სიზმარს, და საკუთარი
სახელიც მესმის, — კართან შევდექ და მოვიხედე;
არ შეიცვალა არაფერი, იგივე ტონი,
მხოლოდ კვამლი ნაცრისფერი შეიძრა ოდნავ,
მაგრამ უფერო, მონაცრისფრო კედლების ფონზე
დიდი დარბაზის სუსტ ნათელში გაქრა უკვალოდ.

* * *

ჯონ უეინი

გორილა მხარ-თედოზე წამოწოლილა,
დაუბჭენია ხელისგულზე თავი
კაცივით.



თითქოს მთელი დღის შრომამ დაქანცა,
მთელი ძალ-ღონე მიაღია ვეება კაცმა
არსობის ტკბილი ლუკმის ძიებას.
რაღა თქმა უნდა, გარჯამ კი არა,
სევდამ მოქანცა, გიგანტის ძალა
დასწვა უზომო უსაქმურობამ.

ათასი დღე და ათასი ღამე
სულ მცონარობა აღნობდა მის ტანს,
თავი არასდროს არ მოუქლავს დღიურ ლუკმაზე.
ამ კვირა დღით მხარ-თედოზე წამოწოლილა,
(დიახ, კაცივით! — რისი გორილა?!)
ხელზე დაუდვია ქვასავით მაგარი, ვეება თავი.

ზუსტად იმ დიდი და დადლილი კაცივით,
ჩვენ რომ ხელს ვუწყობთ და ვენმარებთ
მხოლოდ იმიტომ, რომ ის ის არის.

ათასი დღე და ათასი ღამე
ჩვენი მონაგრით სავსე სუფრა იშლება მისთვის,
ვინც გაბერილ თავს ხელისგულზე ასვენებს ხოლმე.

და, ეს ბოტლები!


საქართველო
ბიულეტენი

თუ რა ადგილი უჭირავს ბოტლებს ჩვენს ცხოვრებაში, ეს ყველას კარგად მოგეხსენებათ და ამაზე არც ღირს ლაპარაკი. მე, ბატონო ჩემო, ის მანუხებს, რომ ბოტლების გადაძვივდა, ლამის სიგიჟემდე ვარ მისული!.. ვითომ რატომო? გაიოცე, ხომ? დამიგდე, პატარახანს ყური: დღენიადაგ რომ ჩაგვძახიან, ჩააბარეთ ბოტლები, ქილები და სხვა მისთანები, რაც სახლში არ გჭირდებათო, მოგისმენია? ჰოდა, მერე არ გეცოდები? დავიტივრთები, დავსაპანალ-დავკაპანდები და წავალ, რის ვაი-ვაგლახით მივალწვე პეკინის ქუჩაზე, ოცდაჩვიდმეტ ნომერში, იქაა ჩემი სისხლის გამშრობი ტარის მიმღები პუნქტი, თუ დაგიხვდა ღია, ხომ კარგი, არადა, ქვა გამოკვტილი. ახლა მოუფიქრებიათ და უზარმაზარი განცხადება გამოუკრავთ — გადატივრთვის გამო ვერაფერს მივიღებთო. საცოდაობით დაინვები, ჭურჭლით დატივრთულნი წელწყვეტით და რახარუხით მოდიან და მოდიან, უკან ბუზღუნითა და ლანძღვა-გინებით მიდიან. ზოგი ტვირთს იქვე ყრის ან გამწარებული ამტვრევს!.. ახლომახლო სხვა პუნქტი არსადაა, არადა რა ქნას ამ ხალხმა?! თუ გაგიღიმა ბედმა და ღიას მიუსწარი, ჭერამდე გამოტენილი სარდაფიდან ასეთ სიტყვა-პასუხს მოისმენ:

— რა გააჭირვებთ თქვენი ბოტლებით საქმე?! ვერ მივიღებთ, ვერა! თვალები დავსებული გაქვით?! ხომ ხედავთ, რა დღეში ვართ?! კიდევ რომ მივიღოთ, ფული მაინც არ გავგაჩნია, ოცი დღეა ე დედაკაცი დადის და სამი მანეთი ვერ მივეცი! არა გვაქვს და ძალაა?!
— რა ამბავია, თქვენი ჭირიმეთ, ეს პუნქტი კანონგარეშე ხომ არაა გამოცხადებული?! — წუხს დედაბერი, თან მე შეკითხება, — ნასწავლ კაცს გავხართ და თქვენ მაინც მითხარით, ამ დანესებულებას პატრონი თუ ჰყავს?!
— რას გაახურე, დედიჯან! გეყოფა, გეყოფა, იმ კვირას გამოიარე და მოგაშავებ შენს სამ მანეთს!
ასეთი დიალოგის მოსმენის შემდეგ რაღა დამრჩენია? — ტვირთმოკიდებული ისევ შინ მოვბრუნდები და კვლავ ვკითხულობ თავაზიან მონოდებას — ჭურჭელს გაუფრთხილდით, ჩააბარეთ, თქვენ გემსახურებათ სპეციალიზებული მიმღები პუნქტებო! დავასხი თავსლაფი ამისთანა მომსახურებას! შევეჩვიეთ, ბატონო, რომ თორმეტკაპიკიან ბოტლში ათ კაპიკს გვაძლევენ. თუ ვიჩვილო, ტყვია მკარით შუბლში! ქილები და მაგისტანა წვრილმანი მთლად საჩუქრად მომირთმევიან, ოღონდ მიიღოს ვინმემ! არ გვინდა, არა, ამისთანა სპეციალიზაცია! რა სჯობდა იმას, ცარიელ ჭურჭელს ყველა მაღაზიაში რომ იღებდნენ?!

ვიფიქრე, ვიფიქრე და ერთი გამოსავალი გამოვნახე: მოუყური თავს ამ ხარახურას და სოფელში გავგზავნი, იქ ადგილიც მეტია და საჭიროებაც. კიდევ კარგი, განზრახვა წინასწარ წერილით შევატყობინე, მაშინვე პასუხად ელვა დეპუტა მივიღე: „ჩიჩიკო, გმერთი არ გაგიცხრეს, მაგი არ კნა, ბოტლებში ვიხრჩობი, სად ცავიგოთ, არ ვიციტ“.
პატივცემულო ნიანგო! იქნებ თქვენ გვიშველოთ რამე?! თუ ცარიელი ჭურჭლის პატრონს გამოგინახავთ, ხომ კარგი, თუ არადა, თავაზიანი მონოდებების მონოდებას მაინც მოეშვან, მეტი აღარ შეგვიძლია, გასკდა გული!
ოჰ, ეს ბოტლები!..

ივანე შანიშვილი



ნახ. ე. გურგენიძის.
(„კროკოდილი“)



— მიიღე, გათავა, და რასაც მოვთხოვ, გაღაპინდი!

ციცინო და სოსია


ერთი პატარა ბიჭი ვარ, სახელად მქვია სოსია, ჯერ არც კი შემსრულებია მე წელიწადი ოცია. პატარა გოგო ვავიციან, სახელად ჰქვია ციციწო. ჩვენ რომ ამბავი შეგვემოხვება, უნდა დაჯდე და იციწო:
პატარა გოგო ციციწო შემეყვარდა და ისაა, ას ოცდაშვიდი კილოა, თუმცა ჯერ თექვსმეტი წლისაა! ერთად ვიყავით ყოველდღე, რა სჯობდა ასეთ ყოფასა?! ვეფიცებოდით ერთმანეთს ცოლობასა და ქმრობასა!
მამამ უარი მაკადრა, დავრჩი უთევზოდ მეთევზე, დედამ კივილი გააბა, ხოხვით გავიდა კედელზე!.. მოვეთათბირე ციციწოს, გუმანი არც მან დაფარა, უცებ გადაწყდა — იმავ დღეს ოჯახებიდან გაპარვა!
და გავიპარეთ სახლიდან გოგო და ბიჭი პატარა, ციციწომ მხარზე შემისვა, გორამდე ასე მატარა. ასეთი ცოლის პატრონი კაცს იღბალიც უნდა პაწაო, მაინც ამბობენ, სოსიამ ციციწო მოიტაცაო!..

ბია ივანიშვილი



7-80

80-641



სატირისა და იუმორის
 ჟურნალი „ნიანგი“
 № 18 (1580) ნოემბერი
 გამოდის 1922 წელს

მთავარი რედაქტორი
 ზაურ გოლძეძე

სარედაქციო
 კოლეჯია:

ზაზა ამირაჯიბი
 ნოზადი ზარტია
 გორის გურგულია
 ნოდარ ღუმუაძე
 რეზა თვარაძე
 ჯემალ ლოლუა
 ნოდარ ვალაზონია
 (მხატვარი-რედაქტორი)

ზაზა სიხარულიძე
 (პასუხისმგებელი მდივანი)
 ალექსანდრე სამსონია
 გიგლა ფირცხალავა
 ჯანსუღ ჩარკვიანი
 თამაზ წიგვიძეაძე
 ვაჟა ხანიშვილი
 (მთავარი რედ. მოადგილე)

ნაფი ჯუსუმიტი
 ტექნიკური რედაქტორი
 მინხილ კახალაშვილი

გადაცემა ასაწყობად
 15.08.80 წ.
 ხელმოწერილია დასაბეჭდად
 24.09.80 წ.
 ქალაქის ზომა 70x108 1/2
 ფიზიკური ნაბეჭდი
 ფურცელი 2
 სააღრიცხვო-საგამომცემლო
 თაბახი 1,7

საქართველოს კვ ცკ-ის
 გამომცემლობა,
 ლენინის ქ. № 14,
 შეკვეთა № 2282. უფ 00713.

ტირაჟი 150.950
 ჟურნალი გამოდის
 თვეში ორჯერ.
 რედაქციაში შემოსული
 მასალები ავტორებს
 არ უბრუნდებათ.

ჩ ვ ე ნ ი მ ი ს ა მ ა რ თ ი:
 380008, თბილისი-8, რუსთაველის
 პროსპექტი, № 42.
 ტ მ ლ ე ფ ო ნ ე ბ ი: მთავარი
 რედაქტორის — 93-62-04, მთ.
 რედ. მოადგილის — 93-19-42,
 პ/მგ მდივნის — 93-10-78, მხა-
 ტვარი-რედაქტორის — 99-02-38,
 განყოფილებათა გამგეების —
 93-49-32, რედაქტორ-ლიტმულ შეკე-
 ბის — 99-02-38, მდივანი-მეგან-
 ქანის — 99-76-69.

Сатирико-юмористический
 журнал «НИАНГИ»
 (На грузинском языке)
 Тбилиси, пр. Руставели № 42.
 Издательство ЦК КП Грузии
 Типография Издательства ЦК
 КП Грузии, Тбилиси, ул. Ле-
 нина № 14.
 Фабри № 20 პაპიკი
 ინდექსი 76137

სიცილ-ტირილიადა


ცამების წინააღმდეგ

ცრუმორფოზნომაინსა და უმეცრების წინააღმდეგ მებრ-
 ძოლმა ამერიკის საზოგადოებამ პარასკევს, 18 ივნისს, თავისი
 მორიგი კრება გამართა. იგი უოველთვის მართავს ასეთ კრებებს,
 როცა 18 რიცხვი პარასკევს ემთხვევა, ქვეყნად დამკვიდრებული
 ცრუმორფოზნომაინსა და პროტესტის ნიშნად. სხდომის დროს, რო-
 მელიც გაიხსნა ხუთის 18 წუთზე და გრძელდებოდა შვიდის 18
 წუთამდე, დარბაზში დარბოდა 18 შავი კატა. შემდეგ: საზოგადოება
 დააარსა 18-მა ამერიკელმა; ახლა საზოგადოება 818 კაცს ითვლის.
 ერთადერთი, რაც საზოგადოების მესვეურებმა ვერ შეძლეს, ეს
 იყო ის, რომ კრება ვერ მოაწყვეს მე-18 სართულზე: ამერიკაში
 საერთოდ არ არის სართულები ამ ნუმერაციით. რას იზამ? — ცრუ-
 რწმენა ჭერ კიდევ ძლიერია ამ ქვეყანაში!

„მონოპოლია“ პეკინში

ჩინეთი ჭერ, მართალია, არ აწარმოებს ამერიკული სამაგიდო
 თამაშის — „მონოპოლიის“ იმპორტს, თამაშისა, რომლის აზრი იმით
 გამოიხატება, თუ როგორ უნდა „გამდიდრდე“ სხვისი „გაქოტრე-
 ბით“, მაგრამ პეკინის უნივერსიტეტში უკვე თამაშობენ „მონო-
 პოლიობანას“. აქ ამ თამაშს ნერგავს ამერიკელი სტუდენტი ფრენკ
 პოუკი. მან თამაშის წესები შეასწავლა ჩინელ სტუდენტებს, რომ-
 ლებიც... კაპიტალიზმის ეკონომიკას სწავლობენ. როგორც ერთ-
 ერთი მათგანი ამბობს, „რასაკვირველია, ჩვენი იდეოლოგია განხ-
 ვავდება ამერიკულიდან, მაგრამ ჩვენ ვეძებთ კარგ მხარეებს იმ
 ეკონომიკურ სისტემაში, რომელიც კარგად მუშაობს“. ჩინეთ-ამერი-
 კის ურთიერთობათა ახლანდელი ვითარებით თუ ვიმსჯელებთ, რა
 თქმა უნდა, პეკინმა მართლაცდა უნდა ეძიოს სიკეთე კაპიტალი-
 სტურ სისტემაში.

ნ. ნ. შარბაძის
 („წიგნი ვრეზა“)



საარჩევნო კამპანია ამერიკის შეერთებულ შტა-
 ტებში. დემოკრატებსა (მათი სიმბოლო ს ა ხ ე დ ა რ ი ა)
 და რესპუბლიკელებს (ს პ ი ლ ო) ადვირით მიათრევს
 სამხედრო-სამრეწველო კომპლექსი.

КОНТРОЛЬНЫЕ
 ЭКЗЕМПЛЯРЫ